

**უნივერსიტეტის, როგორც ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების/შემოქმედებითი
საქმიანობის ინსტიტუციის განვითარების სტრატეგია**

მუხლი 1. სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია

1. სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგიის მიზნები და ამოცანები

1. წინამდებარე სტრატეგია მიზნად ისახავს ძირითადი ორიენტირების ჩამოყალიბებას, რამაც უნივერსიტეტი, როგორც კვლევითი დაწესებულება, უნდა გახადოს ერთ-ერთი მოწინავე ინსტიტუცია საქართველოში, რომელიც ქმნის მაღალხარისხიან კვლევით პროდუქტს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებში ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების მიმართულებით.

2. სტრატეგიის ამოცანაა ფუნდამენტის შექმნა დეცენტრალიზებული კვლევითი საქმიანობების განვითარებისთვის ფაკულტეტების, ინსტიტუტებისა და კვლევითი ჯგუფების დონეზე, რომლებიც აგრეგირდება საუნივერსიტეტო დონეზე და საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის წინამდებარე კვლევითი მიზნის მიღწევას.

3. წინამდებარე მიზნის მისაღწევად განისაზღვრა სტრატეგიის შვიდი ძირითადი ორიენტირი, რომელთაგან პირველი სამი არის საბაზისო ორიენტირი, ხოლო დანარჩენი ოთხი არის მხარდამჭერი ორიენტირი. საბაზისო ორიენტირებია: 1) უმაღლესი ხარისხის კვლევის მიღება; 2) საუკეთესო მკვლევარების მხარდაჭერა და განვითარება და 3) გავლენის მოხდენა. მხარდამჭერი ორიენტირებია იმ საქმიანობათა ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს: 4) ინტერდისციპლინური კვლევების შესაძლებლობების გამოყენებას 5) გააზრებული ადამიანური, ფინანსური და საფინანსო რესურსების მიწოდებას კვლევის უწყვეტობის შესანარჩუნებლად; 6) კვლევის პატიოსნებას და 7) კვლევის ურთიერთშეთანხმებულ სტრატეგიას.

2. სტრატეგიის მიმართულებები

1. ხარისხის ორიენტირი - უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, რომ განახორციელოს მაღალი ხარისხის კვლევები და მუდმივად გააუმჯობესოს ხარისხის მაჩვენებელი განსახორციელებელი საქმიანობების მიმართ მოთხოვნების თანდათანობითი გაზრდის გზით და გახადოს ხარისხი თანამედროვე ევროპული სტანდარტების (რასაც ეყრდნობა ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა) შესაბამისი.

- ალწერა: კვლევის მაღალი ხარისხი გულისხმობს მაღალ მაჩვენებელს კვლევის შეფასების ყველა კრიტერიუმში, მათ შორის, მაღალ საერთაშორისო რეიტინგს,

პუბლიკაციებს წამყვან სამეცნიერო გამოცემებში, ციტირების მაღალ ინდექსს, შექმნილი კვლევითი პროდუქტების უმრავლესობაზე მაღალ მოთხოვნას და სხვ.

განასახორციელებელი აქტივობები

1.1. კვლევის პროდუქტი და ციტირება

- ფაკულტეტებისა და კვლევითი ცენტრებისთვის ისეთი ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა, რაც უზრუნველყოფს კოლეგების ნაშრომების ექსპერტულ შეფასებას იმ მიზნით, რომ კვლევის ხარისხი მუდმივად უმჯობესდებოდეს საანგარიშო პერიოდში, როგორც კვლევის შინაარსის, ასევე კვლევის შედეგის მიმართულებით და ეს უნდა იყოს ნორმა, როგორც უნივერსიტეტის კულტურის ნაწილი, ხოლო ჩანაწერების გაკეთება და ჩანაწერების მიხედვით, თვალყურის დევნება განხორციელებულ კვლევებზე უნდა წარმოადგენდეს ამ პროცესის განუყოფელ ნაწილს
- შეფასების გარე მონაცემების და „eScholar“ სისტემის გამოყენება ციტირების საუნივერსიტეტო მაჩვენებლის მონიტორინგისა და შიდა ქსელში გავრცელების მიზნით ისე, რომ ციტირების მაჩვენებლების რეალისტური სამიზნე ნიშნულები დადგინდეს კვლევის იმ პროდუქტებისთვის, რომლებისთვისაც ციტირების საზომი წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ პრაქტიკას. შესაძლებელია შეფასების სხვა ინდიკატორების (მაგალითად, სახელმძღვანელოების რეცენზირება) გამოყენება, სადაც ეს აუცილებელია
- აკადემიური პერსონალისთვის აქტიური კონსულტაციების გაწევა იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც უნდა გადადგან მათი კვლევის შედეგების ციტირების ოპტიმიზაციის მიზნით (მაგალითად, კვლევის შედეგების მოკლე აღწერა)
- ცნობადობის ამაღლება ციტირებისა და შეფასების სხვა მაჩვენებლების სამიზნე ნიშნულების შესახებ იმ ინდივიდებისა და ჯგუფებისთვის, რომლებიც ახდენენ ნაშრომების რეცენზირებას
- წამყვანი სამეცნიერო ჟურნალების რედაქტორებისა და პრესტიჟული მონოგრაფიების გამომცემელთა მოწვევა და მიზნობრივი შეხვედრების გამართვა ნაშრომების შეფასების პროცესებსა და კრიტერიუმებზე ცოდნის ასამაღლებლად
- ყველა თანამშრომელს უნდა გააჩნდეს „eScholar“ სისტემაზე წვდომა

1.2. პარტნიორობა

- ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუციებთან მიზნობრივი თანამშრომლობის განვითარება იმის გაცნობიერებით, რომ ასეთი თანამშრომლობა ყველა მხარისთვის ურთიერთსასარგებლო იქნება
- ევროპული თანამშრომლობის გაძლიერება ევროკავშირის კვლევით პროგრამებზე მეტი წვდომის მოსაპოვებლად
- ბიზნესთან აქტიური თანამშრომლობა მაღალი გამოყენების მქონე კვლევების მოქმედებაში მოსაყვანად
- ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განვითარება
- ევროკავშირის სამეცნიერო პროექტებში აქტიური მონაწილეობა

- აქტიური თანამშრომლობა მეზობლებთან იმ თემებზე, სადაც რეგიონული პრობლემები და ინტერესები არის დღის წესრიგში

1.3 „მაჩანჩალის“ მართვა

- იმ მკვლევართა გამოვლენა, რომელთა პროდუქტიულობა არის მოსალოდნელზე ბევრად დაბალი, სიტუაციის გამოსასწორებლად მხარდაჭერის აღმოჩენა (მაგალითად, ტრენინგის ჩატარება, დროის მიცემა), ხოლო თუ საბოლოო ჯამში, სიტუაცია არ გამოსწორდა, მათ ვერ უნდა შეინარჩუნონ მკვლევარის სტატუსი.

2. მკვლევარების მოზიდვა - უნივერსიტეტმა უნდა მოიზიდოს და საუკეთესო მკვლევარებს მისცეს კარიერული განვითარების შესაძლებლობა, ხოლო თავად უნივერსიტეტი უნდა გახდეს ასეთი მკვლევარების შემოქმედებითი ასპარეზი მათი კარიერული განვითარების ნებისმიერ საფეხურზე.

- აღწერა: გაცხადებული ამბიციის რეალიზებას უნივერსიტეტი იწყებს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განვითარებით. სადოქტორო კვლევები გახდება საუნივერსიტეტო კვლევებზე გაწეული ძალისხმევის მნიშვნელოვანი შემადგენელი. უნივერსიტეტი უნდა დარწმუნდეს, რომ კარიერული განვითარების პირველივე საფეხურზე კარგი ფუნდამენტი არის შექმნილი. პერსპექტიულ ახალგაზრდა მკვლევარებს და დოქტორანტებს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიონალი მენტორებით, რომლებიც გაუწევენ ახალგაზრდა მკვლევარებს იმ კვალიფიციურ მომსახურებას, რაც დაეხმარება მათ კარიერული წინსვლის მომდევნო საფეხურზე მაღალი და დამოუკიდებელი რეპუტაციის შექმნაში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პოტენციური ლიდერების გამოვლენას და დაეხმარება მათ შესაბამისი კვლევითი ჯილდოების მოპოვებაში. უნივერსიტეტი ასევე იღებს ვალდებულებას, რომ შექმნას შესაბამისი გარემო, რაც მოიზიდავს და შეინარჩუნებს კარიერული განვითარების პიკზე მყოფ მკვლევარებს.

განსახორციელებელი აქტივობები

2.1. დოქტორანტურა

- მაღალი ხარისხის სადოქტორო პროგრამების განვითარება
- აქტიური მარკეტინგული კამპანიის წარმოება საუკეთესო და პერსპექტიული კანდიდატების მოსაზიდად
- სადოქტორო სტუდენტების მაღალხარისხიანი პუბლიკაციების სტიმულირება
- საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ერთობლივი სადოქტორო პროგრამების განვითარება
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის შეფასება და მუდმივი მონიტორინგი
- სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის ეფექტური წესის შემუშავება

- კვლევით კომპონენტებში საერთაშორისო ექსპერტების აქტიური ჩართვა (ნაშრომის რეცენზირება, სადისერტაციო საბჭოს წევრობა, პროგრამის თანახელმძღვანელობა და ა.შ.)
- უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში დოქტორანტების სრულფასოვანი ინტეგრირება
- კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება
- კვლევითი საქმიანობის ეფექტური მხარდაჭერი მექანიზმების შემუშავება

2.2 კარიერული მხარდაჭერა

- სასტიპენდიო პროგრამების განვითარება სარესურსო შესაძლებლობების გათვალისწინებით
- მარკეტინგული კვლევების განხორციელება იმის დასადგენად, თუ რა ფაქტორები უზრუნველყოფს დოქტორანტების მოზიდვას
- რეკრუტირების პროცესის გაუმჯობესება საუკეთესო კანდიდატების გამოვლენის მიზნით
- კარიერული წინსვლის შესაძლებლობების ეფექტური სტრუქტურის შემუშავება
- საერთაშორისო ფონდების აქტიური გამოყენება ახალგაზრდა მკვლევარების დასაფინანსებლად
- ახალგაზრდა მკვლევარების უფროს მკვლევარებთან მაღალი ხარისხის თანამშრომლობის უზრუნველყოფა
- იმ მკვლევარების გამოკვეთა და მხარდაჭერა ყოველწლიურად, რომლებიც აღწევენ მაღალ ინდივიდუალურ შედეგებს
- მრავალსაფეხურიანი პროგრამების განვითარება, რომელიც ორიენტირებულია კვლევითი უნარებისა და გამოცდილების გაზიარებაზე
- შემდგარი მკვლევარების კმაყოფილების მუდმივი მონიტორინგი და საუკეთესო კვლევითი გარემოს შექმნა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინარჩუნებენ მოტივაციას და აგრძელებენ თანამშრომლობას უნივერსიტეტთან

3. გავლენის სფერო - უნდა გასცდეს უნივერსიტეტის საზღვრებს და მოიცვას საზოგადოება. კვლევითმა პროდუქტმა უნდა უზრუნველყოს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სარგებლის შექმნა

- აღწერა: უნივერსიტეტი დაამყარებს და შეინარჩუნებს საკვანძო ურთიერთობებს ბიზნესთან, სახელმწიფო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კვლევითი დღის წესრიგის ჩამოყალიბებას. უნივერსიტეტმა უნდა შექმნას ინტელექტუალური საკუთრება და მისცეს საზოგადოებას მისი გამოყენების შესაძლებლობა. გავლენის სფერო და გავლენის მასშტაბი პირდაპირპროპორციულია ინვესტიციებთან, რომელსაც უნივერსიტეტი მოიზიდავს მეტი კვლევების განსახორციელებლად. უნივერსიტეტმა პასუხი უნდა გასცეს საზოგადოების გამოწვევებს გაცხადებულ მიმართულებებში და სწორედ ეს არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი სოციალური პასუხისმგებლობა.

განსახორციელებელი აქტივობები

- ბიზნესების, სახელმწიფო სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციების იდენტიფიცირება, რომლებთანაც უნივერსიტეტს ექნება ხანგრძლივი, შედეგზე ორიენტირებული სტრატეგიული თანამშრომლობა და უზრუნველყოფილი იქნება მასში ფაკულტეტებისა და ინსტიტუციების მაღალი ჩართულობა
- ფაკულტეტის თითოეული წევრი და კვლევითი ჯგუფი ფაკულტეტებთან და ინსტიტუტებთან ერთად, უნდა ქმნიდეს გეგმას ყოველწლიურად, რომელშიც აისახება კვლევის საზოგადოებაზე გავლენის მასშტაბი და პასუხისმგებლობას იღებდეს მათ განხორციელებაზე
- ინტერსექტორული მობილობის წახალისება აკადემიურ პერსონალსა და პარტნიორ ინსტიტუციებს შორის
- აკადემიური პერსონალის მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა საზოგადოებრივი პროექტების განხილვაში
- მედიასთან აქტიური თანამშრომლობა უნივერსიტეტის კვლევითი იმიჯისა და რეპუტაციის წარმოსაჩენად
- კვლევების კომერციალიზაცია

4. ინტერდისციპლინურობის ორიენტირი - კრიტიკული მასა და კვლევის ინტერდისციპლინური სფერო არის ის მექანიზმი, რამაც უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტის, როგორც კვლევითი დაწესებულების, ლიდერობა სამიზნე დისციპლინებში.

- აღწერა: არსებულ მიღწევებზე დაყრდნობით, უნივერსიტეტი გამოავლენს იმ საკვანძო სფეროებს, სადაც რესურსებისა და ინვესტიციების მოზიდვით შეძლებს საუკეთესო პრაქტიკის ფართე სპექტრის შექმნას. უნივერსიტეტი იმუშავებს საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან ერთად. ამავდროულად, გამოიყენებს მაქსიმალურ შესაძლებლობებს, რომ თავად შექმნას ახალი ინტერდისციპლინური კომბინაცია დისციპლინათა ფართე სპექტრს შორის იმ დათქმით, რომ უზრუნველყოფილი იქნება მკვლევარის თავისუფლება და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება.

განსახორციელებელი აქტივობები

- იმ ტიპის ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც ყველაზე კარგად მიესადაგება უნივერსიტეტის მასშტაბს, კვლევის სფეროს და კვლევითი სამუშაოს შესრულების ხარისხს
- მაღალი რეპუტაციის მქონე კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის გაღრმავება
- ინტერდისციპლინური კვლევების განვითარება, საკვანძო მიმართულებების გამოკვეთა და მომხამრებლისთვის დიფერენცირებული კვლევითი პროდუქტის შეთავაზება
- სტრატეგიული რესურსების ფოკუსირება იმ დისციპლინებსა თუ ინტერდისციპლინურ აქტივობებზე ფაკულტეტებსა და ინსტიტუტებში, რომლებიც

უნივერსიტეტს წარმოაჩენს მაღალი რეპუტაციის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად

- სხვადასხვა ფაკულტეტის პესონალისგან შემდგარი კვლევითი ჯგუფების წახალისება

5. რესურსები - კვლევითი ამბიციების დასაკმაყოფილებლად უნივერსიტეტი გამოიყენებს ადამიანური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების ფართე სპექტრს. უნივერსიტეტი განავითარებს და თანდათანობით გაზრდის ფუნდამენტური კვლევების დაფინანსებას.

- აღწერა: იმის პარალელურად, რომ თავად იწყებს კვლევების დაფინანსებას, უნივერსიტეტი მოიძიებს ფინანსურ რესურსებს ბიზნესში და საერთაშორისო ორგანიზაციებში, რაც დაეხმარება უნივერსიტეტს, რომ კვლევები ეფექტურად დაუკავშიროს ინვესტორების ინტერესებს.

განსახორციელებელი აქტივობები

- კვლევების დაფინანსება და დაფინანსების საჯარო, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების უზრუნველყოფა
- შესაძლებლობების ზრდასთან ერთად, უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი გაუმჯობესება და საუკეთესო კვლევითი გარემოს ჩამოყალიბება
- მკვლევარების შეზღუდული დროის რაციონალური გამოყენება კვლევებისა და სწავლების მიზნებისთვის
- კვლევების განვითარების ადმინისტრაციული მხარდამჭერი მექანიზმების მუდმივი გაუმჯობესება.

6. კვლევის პატიოსნება - კვლევის პატიოსნების მაღალი სტანდარტი არის ხარისხიანი კვლევის ერთ-ერთი შემადგენელი

- აღწერა: ბოლო მიღწევებზე დაყრდნობით, უნივერსიტეტი განავითარებს და დანერგავს მექანიზმებსა და პროცედურებს, რამაც უნდა უზრუნველყოს კვლევის პატიოსნება, როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება.

განსახორციელებელი აქტივობები

- პლაგიატთან შეურიგებელი უკომპრომისო ბრძოლა
- სემინარების გზით საუნივერსიტეტო ეთიკის შესახებ ახალგაზრდა მკვლევარების ცნობიერების ამაღლება

7. ურთიერთშეთანხმებული სტრატეგია - კვლევის სტრატეგია უნდა იყოს შეთანხმებული ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების დონეზე.

მუხლი 2. კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები

1. კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების აღწერა

1. სამეცნიერო კვლევის საუნივერსიტეტო მხარდაჭერის სისტემა მოიცავს კვლევების განვითარების მხარდამჭერ ინსტიტუციურ სტრუქტურებს, საუნივერსიტეტო საგრანტო სისტემას, კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიან პროცედურებს, საუნივერსიტეტო კვლევების ინფორმაციული მხარდაჭერის მექანიზმებს და პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკას

2. კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ინსტიტუციური სტრუქტურები

1. კვლევების განვითარების სტრატეგიულ მიზანთან და გეგმებთან შესაბამისობაში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ხელმძღვანელობს და მუშაობის კოორდინირებას ახორციელებს უნივერსიტეტის პროექტორი. პროექტორი უზრუნველყოფს:

ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებას,

ბ) სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების კოორდინირებას, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესების კოორდინირებას

გ) პერსონალის სამეცნიერო აქტივობების განხორციელების ორგანიზაციულ მხარდაჭერას

დ) სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, აკადემიური პერსონალის ინფორმაციულ მხარდაჭერას

ე) კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიან პროცედურების დაცვას

ვ) კვლევის ფარგლებში აკადემიური პატიოსნების დაცვის კონტროლს

ზ) საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებასთან ერთად საერთაშორისო პარტნიორობთან თანამშრომლობის უზრუნველყოფას

თ) ურთიერთობების დამყარებას ბიზნესთან, სახელმწიფო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან

ი) კვლევითი საქმიანობისთვის საუნივერსიტეტო რესურსების მართვასა და ინსტიტუციურ დონეზე ინვესტიციებისა და გრანტების მოზიდვას.

კ) უზრუნველყოფს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებას

2. საზოგადოებრივ საჭიროებებზე ორიენტირებულ, გამოყენებითი და ფუნდამენტური ხასიათის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ცალკეული დარგების მიხედვით, ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფები, რაც მიმართულია უნივერსიტეტის მიერ დასახული მისიისა და მიზნის მიღწევაზე.

3. უნივერსიტეტის ფაკულტეტი ზრუნავს საუკეთესო მკვლევარების მოზიდვასა და მათთვის კარიერული განვითარების შესაძლებლობების მიცემაზე. უზრუნველყოფს კვლევითი კომპონენტის დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას. ზრუნავს შედეგზე ორიენტირებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განვითარებაზე.

4. უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური სამეცნიერო ინსტიტუტთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის ხარისხს და მის შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან.

5. უნივერსიტეტი გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს Review. ჟურნალი დაყოფილია დარგობრივ მიმართულებებად. სამეცნიერო ჟურნალის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის სარედაქციო კოლეგია, რომლის შემადგენლობასაც ამტკიცებს

უნივერსიტეტის პრორექტორი. მიმართულების შესაბამისად, სარედაქციო კოლეგია იწვევს დარგობრივ სპეციალისტებს. სამეცნიერო ნაშრომი ექვემდებარება სავალდებულო რეცენზირებას (peer review), რაც ხორციელდება, სტატიის პირველადი შემოწმების (desk review) შესაბამისი დარგის სპეციალისტების მოწვევით (blind review). უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში სტატიის განთავსება უფასოა და კვლევითი ნაშრომის პუბლიკაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ. საავტორო უფლებები გამოქვეყნებულ ნაშრომზე რჩება მის ავტორებს/თანაავტორებს

3. საუნივერსიტეტო კვლევების ინფორმაციული მხარდაჭერა

1. საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფები ზრუნავენ უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და მკვლევარების ინფორმირებულობის დონის გაზრდასა და კვლევითი პროექტებისა და მასში მონაწილეობის შესაძლებლობების თაობაზე
2. უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებათ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების შესახებ, დაინტერესებულ პირებს ჩაუტარდებათ კონსულტაციები გრანტების მოძიებაში.
3. უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისათვისა და სტუდენტისთვის ხორციელდება ტრენინგები უწყვეტი პროგრამების ფარგლებში ყოველწლიურად შემდეგ თემატიკაზე:
 - ა) სამეცნიერო კვლევითი პროექტის დაწერა
 - ბ) სამეცნიერო გრანტის მოპოვება
 - გ) კვლევის მეთოდები
 - დ) კვლევების განსახორციელებლად თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება
4. ინფორმაცია საუნივერსიტეტო კვლევებში ჩართული პირების შესახებ არის საჯარო და უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე

4. სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების დაფინანსება

1. კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და წახალისებისთვის, უნივერსიტეტი ფინანსური დაგეგმვის დროს ითვალისწინებს კვლევითი პროექტების დაფინანსებისთვის დადგენილ ბიუჯეტს
2. უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წყაროებია:
 - ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფაკულტეტისთვის გამოყოფილი გეგმური დაფინანსება, რაც გულისხმობს აკადემიური პერსონალის მიერ ინდივიდუალური დატვირთვის სქემისა და უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით
 - ბ) საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში მიღებული დაფინანსება, რომლის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა, მათი კვლევებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრაცია და ასევე, უნივერსიტეტის საპროექტო ჯგუფების დაფინანსება. საუნივერსიტეტო გრანტის დაფინანსება ხორციელდება მხოლოდ ღია კონკურსის წესით.
 - გ) გარე წყაროებიდან მიღებული დაფინანსება

3. აღნიშნული დაფინანსების გამოყენება შესაძლებელია კვლევითი პროექტის როგორც სრულად ასევე, თანადაფინანსებისთვის
4. კვლევებისთვის დადგენილი ბიუჯეტის ოდენობა უნდა იყოს შენარჩუნებული ან გაიზარდოს ყოველი მომავალი წლისათვის.
5. საერთაშორისოდ აღიარებული კვლევების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი აფინანსებს ფუნდამენტურ კვლევებს და გამოყენებით კვლევებს იმ სამეცნიერო მიმართულებებში, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას
6. ფუნდამენტური კვლევების დაფინანსების მიზანია ახალი ცოდნის შექმნა, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესს. ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი ხელს უწყობს კონკურენტულ კვლევითი გარემოს შექმნას, კვლევების მიახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან და მათ ინტერნაციონალიზაციას, კვლევების ინტეგრაციას უმაღლეს განათლებაში, ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვით კვლევაში მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდას.
7. გამოყენებითი კვლევების მიზანია გამოყენებითი მეცნიერებების სფეროში არსებული საუნივერსიტეტო პოტენციალის გამოვლენა და ინოვაციური სამეცნიერო პროექტების დაფინანსება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური კვლევების გამოვლენას, რომელთა შედეგად მიღებულ მაღალტექნოლოგიურ პროდუქტზე მოთხოვნა ადგილობრივ და/ან საერთაშორისო ბაზარზე და პასუხობს ახალი ტექნოლოგიების განვითარების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას. გათვალისწინებულია კვლევის შედეგების გამოყენების რეალურობა და მდგრადობა, ასევე მომავალში მისი კომერციალიზაციის პოტენციალი.
8. საუნივერსიტეტო გრანტის დაფინანსება ხორციელდება სამი პროგრამის მეშვეობით, რაზეც ცხადდება კონკურსი. ეს პროგრამებია: ა) ფუნდამენტური კვლევების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობენ საპროექტო ჯგუფები; ბ) გამოყენებითი კვლევების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობენ საპროექტო ჯგუფები გ) ახალგაზრდა სასწავლო-სამეცნიერო პერსონალისა და დოქტორანტების კონკურსი. თითოეული მიმართულებით ცხადდება ღია კონკურსი.
9. კონკურსი ცხადდება რექტორის სამართლებრივი აქტით. სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კონკურსის პირობები, კრიტერიუმები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი და კონკურსის ვადები.
10. ინფორმაცია კონკურსის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რექტორის სამართლებრივი აქტით დგინდება საკონკურსო კომისიის შემადგენლობა კონკურსის ჩატარების ვადით.
11. ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების პროგრამებისთვის, საკონკურსო კომისიის წევრები არიან შესაბამისი მიმართულების დარგობრივი ექსპერტები, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორები.
12. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია. კონკურსის ჩატარება გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვას და კონკურსანტის შეფასებას წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

13. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე შუამდგომლობით მიმართავს რექტორს დააფინანსოს კონკურსში გამრჯვებული კონკურსანტი. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება ყველა კონკურსანტს.

5. პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკა

1. პოლიტიკა მოიცავს პლაგიატის საწინააღმდეგო ღონისძიებების ორიენტირებს, ხოლო პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების პროცედურებს, რომელიც განსაზღვრულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით
2. პლაგიატის აღმოჩენი ეფექტური ელექტრონული პროგრამების შესყიდვის მიზნით, ყოველწლიური ბიუჯეტის დაგეგმვისას, უნივერსიტეტი გამოყოფს ფინანსურ რესურსს.
3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ცნობიერების ამაღლებას პლაგიატის საკითხზე. უნივერსიტეტის პრორექტორი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით ჩაატარებს სხვადასხვა ტიპის პერმანენტულ საგანმანათლებლო აქტივობებს/ტრენინგებს პლაგიატის პრევენციის მიზნით.
4. უნივერსიტეტი სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან ერთად შეიმუშავებს პლაგიატთან ბრძოლის ერთობლივ მექანიზმებს
5. უნივერსიტეტი მიმართავს შესაბამის დისციპლინურ პასუხისმგებლობის ზომებს და დისციპლინურ წარმოებას პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.